



# შინაური საკმეხები

## № 28

ფანი მართი შაჰი

წელიწადი ფასი სამი მან.

წელიწადი მეოთხე.

ქრეველ-კვირული განმარტება

### კვირა, 11 სექტემბერი 1911 წელი

#### ყოველ-კვირულ განმარტება

## შინაური საკმეხები

ხელის მოწევაში, იდეას რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალოს რაიონში) გამოქვეყნდნ ს.კ.მ. თაღლი-კახიკიას შესახეში № 17). და თბილისში ს.კ.მ. სის. ბახანში, სმონანანტის შუბს მდებარეობს. გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი, ბბ. ხელის მომწეველებს ეძლევიან ფასი მიუღი წლის ერთად გამოგზავნიან.

წელიწადი ფასი: მასიდან წლის ბილაქადის 3 მანეთი. | 2 მანეთი, | 2 მანეთი და 10 შურსი. | 2 მანეთი, | 2 მანეთი და 10 შურსი. | 2 მანეთი და 10 შურსი. | 2 მანეთი და 10 შურსი.

შინაური: 1) დაკარგული დიდება; 2) ვინ იყვნენ „პაბ“-ები ანუ „პაპ“-ები—ბლ. ი. მარგარიანის; 3) ჯვარის ტვირთვა (თარგმანი)—მლ. ა. ანთაძის; 4) კრიტიკული შენიშვნები—ხომელის; 5) რას გვეწერენ? ა) წერილი სენაკიდან (ნოქალაქევის ეკლესია) დასასრული—მგზავრის; ბ) ყოვლად სამღვდელთა ლეონიდის დღეზა-ურობიდან მეგრეთაში, გ) ლეჩხუმიდან—დეკ. ნ. დრუიძის; 6) კვირიდან-კვირამდე; 7) წაღმა-უტულმა.

### დაკარგული დიდება.

პოლიტიკურ და ეკლესიურ თვით არსებობასთან საქართველოს ეკლესიამ დაპყრობა ბევრი სხვა და სხვა წმინდა ადგილებში ძველთაგან გაშენებული ეკლესია-მონასტრები, რომელთა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს მღვთისმშობლის მიძინების ივერიის მონასტრს ათონში მეთვრამეტე საუკუნის დამლევაზედ ბავშვებზე კი იცოდნენ, რა არის ივერი, ხოლო შემდეგ სრულ დავიწყებას მიეცა ეს დიდებული საუნჯე და დღეს ძლიერ თუ ათასში ერთმა იცის სად არის ეს დიდებული მონასტერი, რა შენიშვნებია ჰქონდა მას საქართველოს ისტორიაში და რა განძს წარმოადგენს იგი დღესაც ჩვენ გალატაკებულ ეკლესიასა და საღვთისმეტყველო ლიტერატურისათვის. ბევრ მღვდელთან შეხვედრის პირადად მე ლაპარაკი ათონის მონასტრის შესახებ და ყოველთვის



განცვიფრებული დაგრჩენილვარ მათი უვიცობისაგან. საწყენია, სხვა რომ არა ითქვას რა, ასეთი უვიცობა და სრული დავიწყება ისეთი განძისა, რომელსაც დღესაც განციფრებაში მოჰყავს მნახველი.


ამ ორი წლის წინათ ბ. ნატროშვილმა გამოისცა რუსულ ენაზე სრული ისტორიული აწერილობა ათონის ივერიის მონასტრისა, მაგრამ ამ წიგნს ისინიც ვერ იცნობენ რომელთათვის რუსული ენა გასაგებია, ხილო რაც შეეხება ფართო საზოგადოებას, სადაც რუსულს მხოლოდ საყველპორით თუ ხმარობენ, ეს საზოგადოება სრულგებობით ცნობილი არ არის ამ წიგნის შესახებ. ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭიროა, გავცნოთ ჩვენ მკითხველებს ათონის ივერის მონასტერი და მისი დღევანდელი მდგომარეობა, რომ ყველას ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს იმაზე, თუ რა დიდება დაკარგა, (ან უკეთ ვსთქვათ, ჰკარგავს) ჩვენმა საქართველომ. საჭიროთ მიგვანჩია აგრეთვე ორიოდენ სიტყვა ვსთქვათ იმაზეც თუ რამდენათ საზარალოა ისედაც დაზარალებულ ივერიის ეკლესიისათვის ისეთი დიდების, ისეთი განძის დაკარგვა, როგორც არის ხსენებული ათონის ივერიის მონასტერი და რით შეგვიძლია დავიბრუნოთ იგი.

უმთავრესი და თითქმის ერთადერთი წყარო, რომლისაგანაც ჩვენ მოვიყვანთ ცნობებს ივერიის ათონის მონასტრის შესახებ, არის ბ. ნატროშვილის ზემოაწვინები წიგნი „Иверскій монастырь на Афонѣ въ Турциѣ“ ამიტომ მეტი არ ოქნება ამ წიგნზე ორიოდენ სიტყვა ითქვას.

წიგნი განიყოფება ორ ნაწილათ. პირველ ნაწილში მოთხრობილია ამბავი შესახებ ივერიის მონასტრის აშენებისა ხოლო მეორეში— შესახებ ქართველთა და ბერძენთა ცილობისა მონასტრის და მის შემოსავლის უფლებებზე. დიდი მადლობის ღირსია ავტორი, რომ მას შრომა არ დაუშურავს და შეუკრებია ყოველგვარი საბუთი აღებულ საგნების შესახებ. განსაკუთრებით საყურადღებოა წიგნის პირველი ნაწილი, რომელიც თვალწინ გვიშლის ძველი

ქართველების ქრისტიანულ მოღვაწეობას, მთქველობას და სამშობლო ერისა და ეკლესიის სიყვარულს. წიგნში ჩართულია სურათები ძველი და ახალი ივერიის მონასტრებისა, ახალი ივერიის ღვთისმშობლის ხატისა და სხვა. საჭიროა ყოველ ქვეშაირქართველს თვალწინ ედვას ეს წიგნი, რათა მუდამ ახსოვდეს. რომ იგი მოვალეა იბრუნოს ივერიის მონასტრის კვლავ დაბრუნებისათვის რომელიც 12,000 ქართველის სისხლითა და ძელებით არი ანაშენი და შექმნილი თავის ადგილ-მდებარეობით. საჭიროა აგრეთვე წიგნი ქართულად გადითარგმნოს რომ ხალხს გაეცნოს თავის ძველ დიდებას და მის დღევანდელ მდგომარეობას. იმედს არ ვკარგავთ, რომ ოდესღაც ივერი ივერისსევე ოქნება. ღვთისმშობელი არ დაგვიკარგავს დიდ წინაპართა ნაზნდერძეს, თუ ამის ღირსი ვიქნებით სარწმუნოებრივი გრძნობითა და აღმაფრენით. უამისოთ კი არა თუ რამეს შევიძინთ ან. დავიბრუნებთ, არამედ იმასაც დაგვიკარგავთ რაც გვაქვს.

შემდეგი ოქნება.



**ზინ იშენენ „ბაპა“-მზი, ანუ „პაპა“-მზი?**

რას ხმარობდენ ზაპები სეფისეკურად. სეღა-შად და სამკაულეუბად?

(გვარძელება \*).

ზაპებს სეზისეკრისათვის ბეჭედი არა ჰქონდათ. ბეჭდის მაგიერად გამოცხობამდე სეფისეკურს, რომელიც შესაფერის სიწმინდით ვერა ცხვებოდა, ჯვარის სახეს გაუკეთებდენ და შუაში მარილის კენიტს ჩასდებდენ. ზეღაშად არაყსა, რანგსა (თაფლისაგან კეთდება) და წყალს ხმარობდენ. ხანდისხან ღვინოსაც შოულობდენ. ბარძიმის მაგიერობასა სწევდა ხის ანუ სპილენძის კათხა; ფეშუმიც ხის ანუ სპილენძისა იყო. ვარსკვლავიც ხისა, სპილენძისა და რკინისაგან კეთებოდა. ლახვარი რკინისა, და ფარნები ჩითისა; ოდიკი სრულგებობით არა ჰქონდათ. ჩითის ოლარი და ფილონი, მოყვანი-

\* იხ. „ზინ. საქმ.“ № № 28.





ლობით თითქმის წაგაგდნენ ეხლანდღეობს... სამკლავები არ იკოდნენ, არც სტიხარის და სარტყელი ჰქონდათ. გინგილის მაგიერ „ღიაკენები“ ჩითის ნახევებს გადიდებდნენ ხოლმე კისერზედ და ვისაც ისიც არა ჰქონდა, ლეკვერთხს შემოიხსნიდა და იმას გადაიკიდებდა.

**წირვა-ლოცვის შემსახმ.** 10—20-დე პაპა შეიკრიბებოდა და საწირავად ეკლესიისაკენ გასწევდა. ეკლესიის კარებს რომ დაუახლოვდებოდნენ, დაიწყებდნენ მიმავალნი ლოცვას: „მოწყალენ ჩვენ... დიდება უფალა შეგვიწყალენ ჩვენ, აწლად მოწყალებისა კარი...“ მერმე შევიდოდნენ ეკლესიაში და შეუდგებოდნენ ცისკარს: ზოგი შუღამის ყმის კითხულრბდა, ზოგი „დიდება მადლიანს“, ზოგი რას; იმას მოაბამდნენ წირვის ყმის; აქ უნდა ვსთქვათ, რომ ისინი არ აარჩევდნენ წითურს წასაკითხავებისაგან და ყველას კითხულობდნენ. — წირვის დაწყებამდე უფროსი პაპა, რომელსაც ზედამწირველს ეძახოდნენ, ეტყოდა დანარჩენებს, რომ ერთს მაცხოვრის სახელზედ ეწირნა, მეორეს ლეთისმშობლისა, მესამეს წმინდა გიორგისა და სხვა. შემდეგ ზედამწირველი აიღებს კონდაკს, სხვები მოიხრან თავს და კონდაკის ქნევით ამბობს: „ლოცვა იერუსალიმისა, მათი ჯვართა, მათთა პირითა—გეკურთხოს ქრისტემან კვათი, ოლარი, გინგილი, ფილოვანი, ხელი შემოსლი ცოცხალს მღვდელს გემის (ანუ დიაკონს აბრამს); ვაჰან დელეს, ექს, მელექს; ფარამოწაფთა მისთა. იამენ! აპის თქმაში ბაპები პირჯვარს ისახვენ და ამბობენ: „კირიელისონ“-ს (უფალა შეგვიწყალენ). მერმე შეიძოსებოდნენ: ზოგი ჩითის ოლარსა და ფილონს ჩაიცვამდა, ზოგი ჩითის ნახევებს და ვისაც ესეც არა ჰქონდა, ლეკვერთხს გადაიკიდებდა კისერზედ. შემდეგ დაიჩქებდნენ ყველანი და ღმერთს შეევედრებოდნენ: „ხოშა დღრმეთ! დამბადებელ ფუნსაბუასტიში (დილა ღმერთო! დამბადებლო, მპყრობელი სიქითოსაო!) დღევანდელი უღვიწიო წირვა ღირსეულად შეიწირე! წმიდაო მადლიანო, ცისა საღმრთო მადლიანო! შენ შეეწიე“ ბეჰის (ვისიც მწირველნი იყვნენ).

შემდეგ ზედამწირველი შევა აღსავლის კარით საკურთხეველში და კონდაკის ქნევით ამბობს: „ღმერთო აკურთხევე საყდარი ესე! ღმერთო! აკურთხევე ტრაპეზე ესე! ღმერთო დამბადებლო, დასწარი ჯვარი შენი, კირიელისონს!

სხვა პაპები სდგანან ტან ეკლესიაში, ზოგი კონდაკს კითხულობს, ზოგი ზებრებს ამბობს და ზოგი რას. ყველა დაყრდნობილია „ყვარჯენზედ“, რომელზედაც წირვის შემდეგ დანი თნშანს დასავამდნენ, დააქობდნენ წირვის სათვალავად. შეიქმნებოდა ხრიალი და ერთი ამბავი. აქ ცოტა განზედ გადაფხვიოთ. ნეტარსხენებული, მსტრავანი მღვდელთმთავარი გაბრიელი სვანეთში მოგზაურობის დროს დაესწრო პაპების წირვას და წარმოიღვინეთ, რომ წირვის გათვებამდე (თუ შეიძლება, რომ ასე ითქვას) თვალზედ ცრემლი ზარ შემორობო და შემოლით კი ხელი არ შეუშალა პაპებს; არც შეიძლებოდა ხელის შემოლა შეებრალა ღვიცობაში მყოფნი პაპანი და ღმერთს მათს პატიებასა სთხოვდა. მისი ნატურა ის იყო, რომ, რაც შეიძლებოდა, მალე დაეყარებინა სვანეთში ქეშმარტი „ღვთის მსახურებამ“, რაიც შეასრულა: მან ქეშმარტი მოძღვარი აღურჩია სვანეთს და გამოიყვანა დაღუპვისაგან!

ზედამწირველი ხმა მალა დაეყვილად, იტყოდა: „საღმრთო ყამი წირვისა წმინდისა იოანე ოქროპირისა“. მერმე შეუდგებოდა კვეთას, ლხვირთ სეფისკვერს განაღებდა და იტყოდა: „ვითარცა ცხოვარი კვლად მიიგვარა“. და ვითარცა ტარიგი წინაშე ბრისვალისა არა აღიდებს პირსა მისსა. სიმდაბლით მისითა სასჯელი მისი მიეღოს...“ ბარძიმის მაგიერობას ხის კათხა სწევდა, რომელშიაც ჩაასხამდნენ არაყს, ან რანგსა.

ზედამწირველი აიღებს ვარსკვლავს და ამბობს: „კუთხნი, კუთხნი კამარიან ცისანი შენ ხარ ქრისტეია, მოწყაფეთა ზედა იამენ!“ სხვა პაპები იტყვიან: „გალობით, რომელიც ღრიალს უფრო წაგავდა: „შენ ხარ! უფლის მიმართ ვილოცო! კირიელისონ! (მჯერ). პირველი პაპა: აიღეფუნ დაეხუთხა პსლმეფუნ



— უფოვ, სუფოვ შვენებრება შეიშო-  
საა... შენ ხარ ქრისტიანა მოწაფეთა ზედა ია-  
მენ!... და გადაფარებს ჩითის ნახევს, რომე-  
ლიც დაფარის მაგიერობასა სწევდა.

სხვა პაპები ამბობენ:

— შენ ხარ! უფლისა მიმართ ვილოცოთ;  
კირიელისონ (3 ჯგრ).

ზედამწირველი:

— დიკონმა პირაქელიანი... შენ ხარ  
ქრისტიანა მოწაფეთა ზედა იამენ!..

კონდაკში გამოკრეფილი სამოციქულო და  
სახარება ეწერათ. გამოსვლაზედ კონდაკს დაი-  
კავებს ზედამწირველი და ამბობს:

— სიბრძნით აღმებრთენით... მოხედენ  
მშვილობა ყოველთა...  
მეორე პაპა:

— ებრაელთა მიმართ სტავლე პავლე  
ცხაკითხავ, ძმანოოო! და წაიკითხავს სამოცი-  
ქულოს.

ზედამწირველი:

— სიბრძნით აღმებრთენით და ისმინეთ  
წმინდა სახარება მშვილობა ყოველთა!

სხვები:

— დიდება ღმერთსაა!..

ზედამწირველი:

— ოთხნოოო სახარება მათისი, ლუკაი-  
სი, მარკოზისი და ივანისი ცხაკითხავიი!..

სადაც ზედამწირველი სახარების კითხვის  
დროს ხმას გააგრძელებდა, იქ სხვა პაპები იტ-  
ყოლნენ:

— დიდება ღმერთსა!—ამასვე ამბობდნენ  
სახარების გათავებისას.

ბარძიმ-ფეშხუმის გამოსვენების დროს ზე-  
დამწირველი იტყოდა:

— აკოცხლე ღმერთო, მეფე ჩენი, კა-  
თალიკოსნი და ეპისკოპოსნი!

სხვა პაპები ვალობით:

— ამან, მიკობან, ქერობინთა ვსაიაოოო,  
და დაეგანსაა ცხოველმყოფელისა მეუფისა  
ყოველთასა, ძღვნის მომწირველთასა ამან აღი-  
ლოია ჰა ჰაოოჰაჰო ეფეია ჰაი!..

ზედამწირველი:

— მღვდელმან ამალღებაა ძღვევისაგან

მეგალობელნი, მებზობელნი, მელაღებელნი  
და მეტყველნიი!..

ამასვე გაიმეორებდნენ სხვა პაპები და  
ზედ მოაბამდნენ ვალობით:

— წმინდაო, წმინდაო, წმინდაო... და გაა-  
ათავებდნენ: იამენ ჰეი!

ზედამწირველი:

— მიიღეთ და სჯამეთ ესე ხორცო ჩემი  
თქვენთვის განტეხილი მრავალ მისატყვებელად  
იამევენ!

სხვა პაპები:

— მრავალთვის ჩვენთვის განტეხილი მრავალ  
მისატყვებელად ცოდვთა იამევენ!

ზედამწირველი:

— სუთ ამისგან ყოველთა ესი არს სის-  
ხლი ჩემი ჩვენთვის დათხუელი მრავალ მისა-  
ტყვებელად ცოდვთა!

პაპები ვალობით:

— ბრავალათვის ჩვენთვის დათხუელი  
მრავალ მისატყვებელად ცოდვთა იამევენ!

ღირსარისი თქმის შემდეგ პაპები ვახსე-  
ნებდნენ ცოცხალს, რომლის მწირველიც იყ-  
ვენ, ან მიცვალბელსა, შემდეგ იხრიალებენ:

ათმაზირი (დალოცე) დევდარიანიშ გვარ  
იმინე მიცვალბელს ჩი შეუნდე, ითმაზირი ივ-  
სელიანიშ გვარ ი მინე ლეშუნდების ჩიის შე-  
უნდე! (დალოცე დევდარიანის გვარი და მათ  
მიცვალბელს ყველას შეუნდე; დალოცე ივ-  
სელიანის გვარი და მათ შესანდობელს ყველას  
შეუნდე!)—ამგვარად მოიხსენებდნენ სოფლის  
ყველა გვარეულობას.

ზედამწირველი:

— შიშითა ღვთისა და სარწმუნოებით  
მოხვედით!

სხვა პაპები წაღმა მიბრუნდებიან და ამ-  
ბობენ:

— ჩვენ შიშითა ღვთისათა იამევენ!  
ბოლოს ყველანი დაიხრქებდნენ და და-  
ლოცავდნენ ვისიც მწირველი იყვენ, ესე იგი

ვინც მათ გააძღვდა იმ დღეს.

კიდევ ბოდიშო, რომ ცოტა განზედ ეუბ-  
ვევ, იქ ზოგიერთმა ეგებ დანციანოს პაპებს,  
მაგრამ ჩენს დროში ხომ ნამღვლინი მოძ-





ღვარნი\* უარესს სჩადიან და იმდაბლებენ თავს. რამდენი მოძღვარი ამზობს სხვის გასაგონად ლოცვის დროს (მაგალითად პარაკლისის დროს):

— აცოცხოვ, ღმერთო, ჩემი მშვეველი, ჩემი მშვეველი! რა სასხენებელია სმა-ქამა იქ, როდესაც ლოცვაში ასე სწერია: „აცოცხოვ კეთილის მყოფელნი ჩვენნიო!“

ბოლოს გააქრობდნენ სანთელს და იწყებდნენ:

— ღმერთო! ვისაც ქრისტიანობა არა სწამდეს, ვინც უქმი დღე გასტეხოვს, ვინც ჩვენ არ მოგვიგონებდეს, იმას ამისადაგვარად თვალები დაუხვსო!

ზედამწირველი ბარძიმი-ფეშხუმს გაასუფთავებდა, სხვა პაპები განაწილებდნენ სეფისკრებს და ამზობდნენ:

— ნაწილი შენი, წყევტენი შენი წმინდეს პეტრეს პავლეს როდეს რუხვითა სუფთვითა შენითა იამევენს.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ პაპები კითხულობდნენ წიგნებში ყოველივეს განურჩევლად წითურისა; ბევრმა კითხვა არც-კი იცოდა და ზებირად ამზობდა ლოცვებს, იმასაც თავისებურათ...

პლ. მღვდ. ი. შარკიანი.  
შემდეგი იქნება.

**ძრისტიანისაგან ჯვრის ტვირთზე \***

(გვართ-ამაღლებას)

რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლა, ბრძანებს უფალი სახარებაში, უარპყავნ თავი თვისი და აღიდენ ჯვარი თვისი და შეამომიდგინ მე (მარკ. 8, 34). აქედამ სჩანს, რომ თვითეული ქრისტიანე ვალდებულია თვი-

\*) Протоіерей А. Гиляревскій. (Авторъ книги „Пособіе къ изученію психологіи.“ Пастыр-Проповѣдникъ. (Путь жизни Православнаго Христіанина.) Кругъ поученій на всѣ воскресные и праздничные дни года. С.-Петербургъ. Изданіе „Книжнаго дѣла.“ 1911 г.

სი ჯვარი იტვირთოს და მიჰბაძოს თვის მაცხოვარსა. ეს ჯვრის ტვირთვა უნდა მდგომარეობდეს თავის თვისის უარის-ყოფაში; აღმიაინი უნდა სცდილობდეს მარტო თავის დაქერას კი არა, არამედ სულიერი და ხორციელის ვნებათა და გულისთქმითა მოკვდინებასაც.

ჩვენ უნდა ვაცვათ ჯვარზე, რომელიც ბოძებულია მაცხოვრისაგან (გალატ. 5, 24) ძველი იგი კაცი ვნებათურთ და გულისთქმით, რათა არა ვმონებდეთ ჩვენ ცოდვასა (რომ. 6, 6).

აი ასეთი მაცხოვარებითი ძალა აქვს ქრისტეს ჯვარსა. ქრისტე განთხრმულის ხელეზით ჯვრიდან მოგვიწოდებს ჩვენ თვის უარყოფასა და სულიერის ცხოვრების მოღვაწობისაკენ. მაგრამ განა მრავალია ამ ქრისტეს ჯვრის მტვირთველი? მრავალი უარპყავს ქვეყნიურ ამოვებასა და ბიწიერს მის სიამესა? ვინ უარ პყავს სიამაყესა და წარმოსტყვევენავს ყოველსა ცნობასა მორჩილებად ქრისტესა? (2 კორ. 10, 5). განა ცოტაა ისეთი პირნი, რომელნიც თვალეზზე ხელს იფარებენ და განაგებ ბრმავედებიან, რომ ვერ იხილონ მოყვანის უბედურება და გაქორება? განა ცოტა მგალითებს გვაძლევს ცხოვრება თუ როგორ ივლობიან ადამიანები ცოდვების სიამეში და ყოველივე ავიწყლებათ გარდა საკუთარის ვნებათა და გულისთქმითა? დიახ, ჩვენ ზნირად გვავიწყლება ღმერთო, საკუთარის სულის ცხოვნება და ვნებანი უფლისა. მაგრამ თვით ღმერთი არ გავიწყებს ჩვენ.

აი ეწია ადამიანს რაიმე უბედურება! სწეულდება, ცხოვრებისათვის საჭირო ქონების დაღუპვა, სიკვდილი მახლობელთა და სხ. ამ დროს მოგვხედავს თვით უფალი, და გვაცვირთვინებს თვისს ჯვარსა. რა მიზნით? უეჭველად იმ მიზნით, რომ გვაჩვენოს თვისი შემბრალებ და მოწყალე მარჯვენე.

ზოგიერთებს უფალი მისთვის ატვირთვინებს თვისს ჯვარსა, რომ ცოდვილია — ქრისტეანემ სააქიოს მიიღოს სწორი სასჯელი და მისაგებელი ცოდვებისათვის და ამისთანავე გა-



ნეშინდოს სინანულით და კეთილ-ქეშარიტის ცხოვრების ტარებით. ამ მიზნით უფალი ატივითინებს თვის ჯვარს არა მარტო ზოგიერთ ადამიანებს, არამედ მთელს ხალხსა. როდესაც მათ სჯის შიმშილით, სწულვით და სხვა გვარი უბედურებით, რომ დასჯილთ ეძიონ ხსნა ღვთისადმი მოქცევაში, სინანულში და ცხოვრების გასწორებაში. მართლაცა და ცხოვრების ზოგიერთ უბედურ შემთხვევებში, სწულვებასა და გაქვივებაში თვით შეუბოვარი ადამიანიც კი რბილდება, წყნარდება; დაბრმავებული თვისის ტკუეთო, ქვეყნიურის სიმდიდრით თან და თან იგნებს იგი, რომ ყოველივე მოცემა კეთილი და ყოველი ნიქი—ზეგარდმო არს შთამომავალი მამისაგან ნათლისა, მხოლოდ ღვთისაგან აქება კაცის სული და ჩენი შემოქმედის და კეთილის მყოფელის ღვთის შეუწყენელად არა არსრა, სტნობს რა ადამიანი თვის დაუდევნელობას, წარსულის მომგონი ღვთის ძალას ჰხედავს თვის უბედურებაში. ამასთანავე, უბედურებაში ქედ-მოდრეკილი და თვისის უმწყობისა არა-რაობის მიმხედველი ადამიანი შემუსვრილის გულით საშინელის სულ-თქმით და ცრეულით მიმართავს ღმერთსა, მთელი მისი არსება გარემოკუთლია ცოდვით და უბედურებისაგან ზარ-განხდილი გულის სიღრმიდან დაღადებს: უფალო! მისხნენ ჩენი რამეთუ წარესწყდებით (მათ. 8, 25) ადამიანს ლოცვა მოაგონდება გაქვივრების დროს. ამის გამო იოანე ოქრობირი სამართლიანად ამბობს: „ტანჯვის ჯაღლით ლოცვა. ხშირად ტანჯვას მისთვის მოგვაყენებს ღმერთი, რომ ხშირადვე შემწყობისათვის მისვე მივმართოთ.“

დაუსრულებელის სიყვარულისა გამო კაცთა ნათესავისადმი უფალი ატივითინებს ჯვარსა ზოგიერთებს, რომ დაიცოს იგინი ზნეობრივი გახრწისაგან, რომელიც მიუცილებულად მისი ზედგია თუ თვის ნებაზე გაუშვს ისინი. „ადამიანო!“ მიმართავს მას ტიხონ ზადონელი, „რომ შენის თვლით გენება დიდება მათი, რომელთაც მიიღეს უფლისაგან საჭაოს სასჯელი, მაშინ, უქველად, ღვთისაგან

მოვლენილს ყოველ-გვარ სასჯელს ეამზორებოდი და ტანჯვას კეთილდღეობას ამჯობინებდი. ადამიანი იხრწნება და ილუპება როდესაც იგი სისუარობს კეთილდღეობაში. ყოველად სახიფათოა ღმერთი როდესაც გვსჯის ამას გავცილებს თავიდან. დიდება მის ჩვენდამი გასაოცარსა მზარუნველობასა!“

უკანასკნელად უფალი მისთვის ატივითინებს თვის ჯვარსა ზოგიერთ ჩინებულთ, რომ შეიძინონ მოთმინება და ზნეობრივ გაბრწყინდენ. ეს ჯვარია ღვთისა კაცისადმი განსაკუთრებულის სიყვარულის გამოხატვა. ესრეთი ენებათა ჯვარი იტივითეს მოციქულებმა, მოწამებმა, წმიდანებმა და ყველა ღვთის სიყვარულ შვილთა. ვინ არ ისურვებს ზეციერის მამის სახლში ყოფასა, ვინც აქ ამდენს ხანს იტანჯებოდენ? ნუშეცა ვის, ამბობს მოციქული, თქვენგანსა ვენების, ვითარცა კაცის მკვლელსა, გინა მპარავსა, გინა ძვირის მოქმედსა, გინა ვითარცა უცხოსა განმგებს. ხოლო უკეთუ ვითარცა ქრისტეანესა, ნუ რცხენინ, არამედ აღიდებდინ ღმერთსა ამით ნაწილთა (1 პეტ. 4, 15, 16). ნეტარ არს კაცი, რომელიცა განსწავლო, და შჯულისა შენისაგან ასწავოს მას (დავით. 93, 14).

აი ასეთი ბრითა და გრძნობებით უნდა გავისმევალოთ, ძმანო, როდესაც წმ. ეკლესია მოგიწოდებს ჩვენ სადღესასწაულოდ დიდებულისა ამაღლებისა პატიოსნისა და ცხოველს მყოფელისა ჯვარისასა. ქრისტემანცა ივნო ჩვენთვის და თქვენ დაგიტევა ხელით-წერილი, რათა შეუღდეთ კვლთა მისთა (1 პეტ. 2, 22), უნდა უარვკუთ თავი თვისი, ვაცვათ ქრისტეს ჯვარზე ჩენი ენებანი და გულის თქმანი, განვითარდეთ უსრულესი ღვთისა და მოყვისადმი სიყვარულით. ნებსით ვეცვათ ქრისტესთან, მივიღეთ მონაწილეობა მის ენებებში და ვეზიარნეთ მის დიდებაში. ნეტარია ის ქრისტიანი, რომელიც შეიგნებს ქრისტეს ჯვარის მაცხოვარებით, ძალას! ღვთისგან მოვლენილს გამოცდას ის ბოროტებად კი არ მიიღებს, არამედ მსუბუქ ქრისტეს ტვირთად. მოთმინებაში სულს აცხოვნებს; მის გულში დაისადგურებს



არა მიმოწვლილვობა, არამედ მყუდროობა და სიხარული სულისა მიერ წმიდის; მის ბაგეთაგან ყვედრება კი არ გამოვა, არამედ ლოცვა-კურთხევა ღვთისათვის. ესრეთი ქრისტეს ჯვრის მტვირთველი მოციქულთაგან ერთად გაიმეორებს: ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულს, გარნა ჯვართა უფლისა ჩენისა იესო ქრისტესითა, რომლისათვისა სოფელი ჩემდამო ჯვარცმულ არს, და მე სოფლისა (გალ. 6, 14). უმჯობესდა უკვე და უფროს ვიქადი უძლურებათა შინა ჩემთა, რათა დამიკვიდროს ჩემთანა ძალმან ქრისტესმან (2 კორინთ. 12, 9). ის მუდამ გაიგონებს სასიამოვნო ხმას: სოფელსა ამასა ჭირი გაქვს; არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძღვევის სოფელსა (იოანე 16, 33) და თქვენ ხართ რომელნი დაადგირით ჩემთანა, განსაცდელთა შინა ჩემთა, და მე აღგიტყვამ თქვენ, ვითარცა მე აღმიტყვა მამამან ჩემმან, სასუფეველსა (ლუკ. 22, 28, 29). არა დაგიტყვე ფქვენ ობლად, მოვიდე თქვენდა (იონ. 14, 18). და წარგიყვანე თქვენ თავისა ჩემისა თანა, რათა სადაცა მე ვიყო, მუნცა თქვენ იყვნეთ. (3).

მღვდელი კ. ანთასე.

**კრიტიკული შენიშვნები. \*)**

(ღუტუ შეგრეჯის მოთხრობანი და ლექსები 1901 წ.)

III.

მეორე საგანი ღუტუ მეგრელის ლექსებშია არის დაბეჩავებული, მშრომელი ხალხის საშახური. პირველი ლექსი, რომელიც ამ თემისზე აქვს დაწერილი, გულწრფელი ლექსია, ილია ჭავჭავაძის „მუშას“ მოგვეგონებს, რა მელსაც აქვე ამოვწერ:

„საღამო არის... მე დავდივარ ფიქრთ  
გასართობლად;  
ჩემ წინ, როგორც ზღვა, ღელავს ყანა  
ამწვანებული;  
შარით ღიღინი მესმის მუშის, შთენელის  
ობლად,—

საბრალო თონის და იმღერის დაღონბული.  
აი, თვითონაც!.. ჩუ, შემნიშნა და მომაჩერდა..  
მე შემბრებვა მისი და მაშინვე დაღლუნე თავი.  
მანკი სიმღერა მიატოვა, კვლავ დააცქირდა  
მიწას და შუბლზე გადაეკრა ღრუბელი შავი..  
ნეტა ვიცოდე, რა იფიქრე, ბედკრული, შენა,  
რომ „გამარჯვებაც“ ვერ გითხარი? ნუ თუ იწყინე?..  
რაქენა, ძმობილო. თუ სასაზე მიმეკრა ენა და ნერწყვებამშრალმა ვერაფერი ვერ გათქმევინე!..  
ასე, როდესაც ქურდობაში ბავშს იჭერს ღელა,  
საწყაალს სირცხვილით ენა ემბის, ძირს უშვებს თვალებს,  
მხოლოდ იხატვის სინანული მისს სახეზედა,  
მისს უმანკო სულს სინიდისი ქენჯნის, აწვალებს!..

ღუტუ მეგრულს სიყმაწვილითვე „მეყვარებული ყავს დაზარალი და დავრდომილი“, მას აქედ ებრძვის ის „სიიავს და ბოროტებას“. იგი მიმართავს ხალხისთვის ტანჯულ მაცხოვარს და მწარე ცრემლებით შესტირის, რომ ის ხალხი, რომლისთვისაც შენი უმანკო სისხლი დანთხა, ისევე განუზომელს წვალებაშია, ისევე აუწერელს ტანჯვა-ვაებაშიაო. დედა-მიწაზე ცხოვრება ნამდვილი აუტანელი შეიქნაო:

„... აქ მხეტო და ნადირთ შეუძლიათ ცხოვრება კიდე, კაცთა კი არა; ისინი აქ ვეღარა სძლებენ! იმათ ან კლავენ, ან მანამდის არ ეხსენბიან,  
ვიდრე თავის თავს არ მოიკვლენ თავისვე ხელით;  
ამ მყრალ ჰაერში მხოლოდ მადლიანი-და მრავლდებიან,

\*) იხ. „შინ. საქ.“ № 26



და ჩვენ, კაცებმა, მასთან ბრძოლა ვეღარ შეგძლოთ!..“  
 ლექსი „მათხოვარი“ გამოუწვევია ქ. ადესაში, აგრეთვე აღებული „ბოსიკამანდის“ დანახვას და ლექსი ისევ ილიას კილოზე მოუშარ-თავს:

„... აი, შეხედეთ, ძველს ძონძებში ვა-  
 მოხვეული  
 სდგას აგერ ვილაც ლაინის ფრად ვალურ-  
 ჯგბული!..“

გიცნობ საწყალო, გიცნობ სხვერპლსა  
 სხვათა განცხრომის  
 ძალგამოღებულს და გაგდებულს შენი  
 შეილიას შრომის;  
 კიცნობ შენ, ვისაც მარად გცივა, გტან-  
 ჯავს სიმშლი, ვისაც  
 მარადის ორნაირი გებრძვის სიკე-  
 დილი!..“

გაქვირებულ ცხოვრებას ადესაში ღამე გამოუგდია ახალგაზრდა დედა-კაციც, რომელიც „ქურდულად სძებნის მუშტარს“ და ამას იგი „ღამურა აღმინანს“ ეძახის. პოეტრი არ ეკუთვნის იმისთანა მიღღქმებებს, რომელიც ხალხს „ნანინას“ უმღერებენ, რადგან ეშინიათ ამ ხალხის მოძრაობისა. იმას მიმართული აქვს ქნარი იმისთვის, რომ ხალხი გამოადვიდოს და აგრძობინოს წყლულთა ტკივილი“... პატარა ლექსი აქვს დაწერილი „გაზაფხული“, სადაც პოეტი ეკითხება გლეხებს:

და თქვენ რას შერეხით, მუშაკანო,  
 დაუწყე თვსეც ყანასა?  
 ხომ იცით, რომ „პურს არსებებს“  
 თქვენ აძლევეთ მთელს ქვეყანასა?  
 წადით, ბედკარულნი იშრომეთ,  
 წადით და გქონდეთ იმედი;  
 გაზაფხულდება თქვენთვისაც  
 და გაგიღიმებსთ თქვენც ბედი!..“

კარგი ლექსია „პატარა სიმღერები“, სადაც ავტორი, სხვათა შორის, ამბობს:

„მეშინ როცა მე ტრემლს ვღვრიდი,  
 ქისკისებდა იგი ტკბილად,  
 ახლა ერგო მას ტირილი,  
 სიცილი-კი მე მხედა წილად,

მაგრამ მაინც არ ვიცინი,  
 რომ ვუყურებ ბედით ჩაგრულს  
 და, ვით ყველა ტანჯულთაღმი,  
 მის მიმართაც ვგრძობ სიბრაულეს!..“  
 ერთ ღროს პოეტი საშინლად განცუფრებული, რომ ქვეყანა ასე დაყოფებოდა და „აღარსით ისმს სტოველი სიტყვა“ სიცოცხლეს ძარღვის ცემა შესწყვეტია და ეკითხება თავის თავს:

„რა ამბავია, რას მოასწავებს  
 ეს სამარისა მსგავსი ღუმელი?  
 ნუ თუ სიცოცხლე შეჩერებულა  
 და იმის ადგილს იქერს სიკვდილი?  
 მაგრამ, იქნება, ეით ბუნებაში  
 მყუდროება წინ უძღვის ქარიშხალს,  
 რის ელექტრონი ავსებს ჰაერსა  
 და ყველაფერი თავს უხრის მის ძალს;  
 როცა უბრალო ნიავის დაძვრაც  
 საკმარისია, რომ დაარღვიოს  
 იგი მშვილობა და დაფარულ ძალამ  
 მთელი ქვეყანა სწრაფ შეარყიოს.  
 ეს უცნაური ღუმელიც ამგვარ  
 ქარიშხლის არის წინამორბედი:  
 სიტყვამ დაუთმო ადგილი საქმეს  
 და გადაწყდება აწ ჩვენი ბედი?..“

თითქო წინასწარ გრძნობა გაუშართლ-  
 დაო ჩვენს პოეტს, ხალხი, მართლაც, გღვი-  
 ძებულა და იბრძვის თავისუფლებებისათვის..

« ხმა იღუმალი „დადგა“ო,“ მეუბნე-  
 ბოდა;

გულიც ამ ტკბილ ხმას მოუთმენლად  
 ელოდებოდა,  
 და, ჰა, კიდევაც დადგა ეს ღრო, ღრო  
 სანატრელი  
 როცა ჰქუხს ქვეყნად თან საამო, თან  
 საშინელი

ხალხის ბრძოლის ხმა თითქო თვით ზღვა  
 დღევას, ღროლებს  
 და თავ-ზარხა სცემს შეშინებულ მიგვე-  
 რელომტარვლებს!..  
 ხალხი მგზბძოლი, ხალხი გმირი სულს  
 მინეტარებს;  
 ხალხი, შემგნები თავის ძალის, მადერთოვენ-  
 მახარებს!..





ასეთივე ალტაცებული გრძობაა გამოთქმული ლექსში: „დიდ-ხანს ვიყავით ჩუმბა-და“, სადაც გამოთქმული აქვს:

მიწა და თავისუფლება!—

სხვა გზა არ არის დღეს ჩვენთვის;  
ყოველი ჩვენი სურვილი.

მხოლოდ ამ ნატურას "ვეერთვის!..“

პოეტურ წარმოდგენას ხალხის მიერ შეწირულ ბრძოლის უთვალავ სხვერპლს და გულის ეწე ს:

„... ვგრძნობ, ჯერ კიდევ გასაღვლელი

ბევრი გზა გვაქვს ეკლანი:

მტერი იკრებს კვლავ ძალ-ღონეს.

და შორს არის ჯერ მიზანი;

მაგრამ მაინც ნუ შედრკებით,

გვახსოვდეს რომ გამარჯვება

როდი ხდება სასწაულით,—

მხოლოდ ბრძოლით იპოვება!..“

ჩემ მიერ ამოწერილი ლექსები ნათლად უჩვენებენ მეოთხეულს, თუ რა საგანს, უმთავრესად, უტრიალებს დღევანდელი მებრძოლის ლექსები.

დღევანდელი შვილია ჩვენი ახალი ლიბრიკისა, რომელიც მოყვა ყმების გათავისუფლების საქმეს. ილია ჭავჭავაძე და აკაკი მთელი ქართველი საზოგადოების, სახალხო მგოსნები იყვენ, რომელთაც გამოიწვიეს და დაბადეს პროგრესიული, წინდა დემოკრატიული ლირიკა ჩვენში. აკაკის ლირიკამ მაინც ნამეტურ ძლიერ გააფართოვა საზღვრები ამ ლიბრიკისა და ამით მან აღძრა და გააცხოველა პოეტის ცხოვრების ყველა ინტერესებში ადამიანის სულის დიდი ამღვლეარება და ენტუზიაზმი.

ამ ჟურნალის ფურცლებზე ჩვენ ვნახეთ ილიას პირვანდელი ლექსები, რომელნიც სულ ერთიანად გლუხთა გათავისუფლების დიდ საქმეს ემსახურებოდა. აკაკიც თვისი უკვდავი „ჩანგური“ ამ დიდ საქმეს ემსახურებოდა. მე მისთვის მინდა ჩანგურიც, თავდაპირველათვე დაიმღერა დიდმა მგოსანმა:

რომ დაჩაგრულს იმ სამღერით

ავალთ ცრემლები ესრობოდეს,

და მზავრებს კი გულში ძგერიო  
ისარიეთ ესობოდეს..

აკაკის ამ ხასიათის ლექსები ძალიან ბევრი აქვს და, ადგილის უქონლობის გამო, აქ არ ჩამოვთვლი.

დღევანდელი მებრძოლის სულზე, უქვევლია, იმოქმედა ახალი ქართული ლირიკის ამ ძვირფასმა მხარემ და აღძრა მასში დიდი ინტერესი სამშობლო ქვეყნის და მუშა გლეხის სამსახურისა, რომელიც ერთ დროს დატყვევდა „საპოქალაქო წუხილის“ სახელწოდებით მონათლეს ლიტერატურაში..

სომეღლი.

შემდეგი იქნება.

## რას გვწერენ?

წარიღი სენაკიდან.

ნოქალაქკვის ეკლესია.

(დასასრული \*).

ამ წაშთის ასე უბატურათ შენახეთ გულ-დაწყვეტილმა მღვდელთ-მთავარმა მიმართა მტირეოდენ მსმენელთ შემდეგი სიტყვით:

„ეს პირველად შევსდგი ფები ამ დიდებულს ტაძარში, ეს პირველად გესმით თქვენ ჩემი სიტყვა ამ, სხვადასხვა მხრით, შესანიშნავი ეკლესიის კათედრიდან და ვწუხვარ, მეტისმეტად ვწუხვარ, რომ თქვენ ვერ მოისმენთ ჩემგან იმ სიტყვებს, რომლით გამსქველული მოვეჩქარებოდლი თქვენი ეკლესიის კარებისაკენ და კიდევ ვწუხვარ, რომ თქვენ ვერ მოისმენთ ჩემგან ისეთ სიტყვებს, რომელსაც, შესაძლებელია, მოელოდით. ეს ტაძარი მოწმეა იმისა, რომ თქვენ ყოფილხართ შთამომავლობა დიდებული წინაპრებისა და გაბოღულად გამტყუი, მოწმეა იმისაც, რომ თქვენ ვერ დაგაფასებთ დიდება თქვენის წინაპრებისა, რომელთა კურსხეულ ბელებს ეს დაუფასებელი, ცხოვრებისთვის აუცილებელი სამკაული თქვენთვის გარდ-

\*) იხ. „ზინ. საქმ.“ № 27.

მოუკია. მეონია ვერ გიცნიათ, თუ მიუტყვე-  
ბელი გულ-გრილობა მოგვიდებიათ, რომ ხე-  
ლი ავიღიათ ამ, უძველეს დროის, ჩვენი ქვეყ-  
ნის თავ-გადასავლის მოწმე ეკლესიისთვის. ამ  
შესანიშნავი ტაძრის კედლები, რომლის ღირ-  
სად, რომლის მემკვიდრედ მხოლოდ აღრჩეუ-  
ლი წინაპრების მოდგმა ხდება, მოწმობენ თქვე-  
ნი წინაპრების სულის დიდება-ძლიერებას და  
ამისავე სახურავი-კი, მათი შთამომავლობის ზარ-  
მაც ხელებს. . . ნეტარ არს მემკვიდრე ღირსი  
ღირსი ეკლესია მამისა, რომელიც თუ არას შესძენს,  
არ გააღატაკებს-გააჩინავებს მაინც სამემკვიდრო  
ქონებას. ნუ იწყენთ ჩემს სიტყვას; თვით ეს  
ეკლესია მოგვითხრობს ამას. აბა რა გავქვთ თა-  
ვის გასამართლებელი? დღესაც ხომ აშენებენ  
ეკლესიებს, ეწევიან შრომას კედლების გაშე-  
ნებაზედაც და ხურავენ კიდევ რკინით და ესე-  
ნი მხოლოდ ეკლესიები არიან, ხოლო თქვე-  
ნი ეკლესია, რომელიც ეკლესიაც არის და ის-  
ტორიული ნაშთიც, რომლის კედლების აღ-  
შენებისთვის არც თქვენ, არც მამას, ბაბუს  
და რადენიმე მოდგმას არ გაუწევია არავითარ  
შრომა და ხარჯი, რომლის აღშენება მხო-  
ლოდ ისტორიის ახსოვს, თქვენ ვერ დავიხუ-  
რავთ, ჩამოსულა წვიმა და ასე შეუბრალებ-  
ლად ჩამოურევს-ჩამოურჩქნია ცა და კედ-  
ლები, წაუშლია მხატვრობა და წარწერები,  
საიდანაც, ვინ იცის რას აღმოვიკითხავდით,  
რა მასალებს შეიძენდა ჩვენი ისტორია? და  
ამ სამწუხარო გარემოებისთვის თქვენ გულ-  
ცივად გიყურებიათ მაშინ, როდესაც საქმეს  
შველოდა თითოეული თქვენთაგანის მცირე-  
დენი წვლილი. — ამგვარად, როგორც დანა-  
შავს ხართ წინაპრების წინაშე, ორი იმდენი  
დანაშავე ხართ შთამომავლობის წინაშეც,  
რადგანაც თქვენ, როგორც ზნეობრივად. ისე  
დღეთისა და კაცის კანონითაც, მოვალენი იყა-  
ვით დაუმახინჯებლად გარდაგვიცათ თქვენი შთა-  
მომავლობისათვის ის, რაც მივიღიათ წინაპრე-  
ბისგან, დანაშავე ხართ აგრეთვე ისტორიისა  
და ხალხის წინაშეც, რომ ყურადღების მოკ-  
ლებით, ასე გაფუჭებულია ეს სულიერი, ხორ-  
ციელი და ისტორიული განძი, რომლითაც

შვედლოთ თავი მოგეწონებიათ, რომელიც  
გინდა განათლებული ხალხის წარმომადგენლის  
წინაშეც. ეს ტაძარი, ჯერ ტაძარიც არ ყო-  
ფილიყო, მოვალენი იყავით გულ-მხურვალე  
ყურადღება მიგექციათ და, რომ ტაძარია, მით  
უმეტეს. მოვალენი იყავით, ერთხელ და სამუ-  
დამოთ დაგხსურათ რკინით, რითაც, სხვა არა  
იყოს-რა, აიცილებდით დრო-გამოშვებით ხარ-  
ჯებს, რაც ყოველთვის მოსდევს ყავრით და  
ხურვას და მაშინ არც ამ ჩვენს სულიერ და  
ზნეობრივ დედას—ეკლესიას ეწეოდა ეს სამა-  
წუხარო ბედი. . . მაგრამ ჰო, — სიღარიბეო, —  
მომიგებთ და მე, დაგარწმუნებთ თქვენ, რომ  
აქ სიღარიბე საღაპარაკოც არ არის; ცოტა-  
დენი გულ-გახსნილობა, ცოტა-ოდენი სიყვარუ-  
ლი ამ ძვირფასი დიდებული ტაძრისადმი და სიღა-  
რიბის წარმოდგენაც აღარ იქნებოდა. აქ სულ  
სხვაა მიზეზი, მიზეზი სარწმუნოების შეცდირე-  
ბაა, რასაც კერწოთ თითოეული ჩვენთაგანის  
და საზოგადოთ მთელი ხალხისონისთვის სა-  
კირ-ბოროტი ბოლო მოსდევს. გარწმუნებთ  
და შენდეთ, რომელ ხალხშიაც ურწმუნოება  
ფესვებს გაიდგამს, ის ხალხი გადაშენების გა-  
ნაკიდებზე სდგას. სარწმუნოება დღეთისა, სუ-  
ლია ჩვენის ცხოვრებისა, მიზანია ჩვენის არ-  
სებობისა; სარწმუნოება დღეთისა, ჩვენი სული-  
ერი მდგომარეობის განმსაზღვრელ-გამასწორე-  
ბელ-გამაკეთებელია. როგორც მოშლილ საკ-  
რავ მანქანას—არაგანს სჭირია შემასწორებელ-  
შემკეთებელი ხელი, ისე ჩვენი სულიერი მოშ-  
ლილობის წამალი არის სარწმუნოება. არავი-  
თარ ქონებას, არავითარ მილიონებს არ შეუ-  
ძლია ჩვენ მოშლილ-შელახულ სულიერ  
მდგომარეობას და სვინიღის მალამო დასდოს,  
შეასწოროს—შეაკეთოს; ის შეუძლია მხო-  
ლოდ და მხოლოდ სარწმუნოებას. უსარწმუ-  
ნოებოთ არსებობა თავის მოტყუებაა. ურწმუ-  
ნო კაცო, თუ პირველსავე მოდგმაში არ აღი-  
გავა, მეორე და მესამეს მაინც ვერ გასცილ-  
დება; ის წააგავს გულ-გამოხრულ მცენარეს,  
რომელსაც აქა-იქ ფოთლებიც შერჩენია, მაგ-  
რამ მისი საუკეთესო ნაწილი განმზარ-მკვდარი,  
რომელსაც შეარბევს თუ არა ქარი, ძირიანა-



დაც სთხრის. ერთი სიტყვით, სარწმუნოების გარეშე მოუფიქრებელია არსებობა ხორციელ-დაც და სულიერად ხომ ურწმუნოს, უსულ-გულთა ცხოვრებისათვის, მოელის საუკუნო სა-ტანჯველი... თუ განგებ არ დაიხუტავთ თვალს, თქვენ თითონვე ყოველ წამს, ყოველ ფეხის გადადგმაზე თვალწინ გიძვდა ურწმუნო კაცის ცხოვრება: მისი ავ-კარგი, მისი სულიერი და ხორციელი ტანჯვა, მისი მოუსვენრობა, თავის მდგომარეობაზე მუდამ უკმაყოფილება, მისწრაფება ყოველი არა საკადრისი საქციელისადმი და ბოლოს, ზეციერი კანონით, დასჯა და აღმოფხვრა, — რომლისაგან დაგეთაროს თქვენ ზეციერმა მეუფემ.

გრწამდეთ შვილებო ღმერთი, გიყვარდეთ ერთი-მეორე და სასუფეველი ღვთისა იქნება თქვენ შორის; იზრუნეთ საუკუნო ცხოვრე-ბისათვის და ყოველი კეთილი შეგვიძინებთ სა-წუთო ცხოვრებაშიც... კურთხეულ იყოს ღმერთი ჩვენ შორის.—ამინ.“

სიტყვის შემდეგ, ყოვლად სამღვდელოს მოახსენეს, რომ აქ ასაფლავია წმ- წმ. ორმე-ოცი მოწამენი, სევასტოას ტბასა შინა წამე-ბულნიო, რომლის სახელობაზედაც არის ეს ეკლესია აღშენებული. მათმა მეუფეებამ მოი-სურვა სასაფლავის ნახვა და უჩვენეს იმ აღ-გელზე, რომლის შესახებ თავში მქონდა მოხ-სენებული. სასაფლაო ცალკე განყოფილება-შია—შიგნით, სამხრეთის კარის თავზე და აქ უბრალო — უმნიშვნელო შესვლა-გამოსვლასაც არაფერი აბრკოლებს, არც არავინ გრძნობს რამე მორიდებას დასაფლავებულთა წინაშე. ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს ადგილი როგორც შეეფერება ისე არ არის დატული. მგონი ისე უყურებენ ამ ადგილს, როგორც ეკლესიაში შესავალ-გამოსავალ მხო-ლოდ კარსა და გზას, რომ იქ ნაბადი მოიხა-დონ, ფეხი იატაკზე შეისლფთაონ, თმა გაის-წორონ და ეკლესიაში შევიდნენ. ვინ იცის, სხვა დროს (მაგ. ავღარში), აქ იქნება ლაზღან-დარობენ კიდევ... ღმერთმა ნუ ინებოს ასეთი შეხედულობა ჰქონდეთ ამ ადგილზე, მაგრამ ეს თუ ასეა, მიუტყვებელი დამნაშაობა იქნე-

ბა. დალოცვილებმა, თუ წმიდანების საფლა-ვის შესაფერად მოვლა-შენახვა ვერ მოახერ-ხეს, იმდენი მიინც ცდილიყვნენ, ამ ადგილის მნიშვნელობა აეხსნათ ხალხისთვის და ეს კა-რიც ისე დაეხურათ, რომ წელიწადში ერთხელ იღებოდეს, ი'იც მოწამეთა ღვთისაწაულზე და საზოგადოთ ეს ადგილი ისე დაეცვათ, რომ იქ შესვლა მხოლოდ მლოცველებს შეეძლოს, ისიც შემოსილი მღვდლის წინამძღოლობით... რომ ესთქვათ, მაგალითი აეღოთ მაგ. მოწამე-თას მონასტრიდან... ამ ადგილს, რომ პატი-ვისცემით და საკადრისად ეპყრობოდნენ, მაშინ ის ხალხის მოთხოვნილებასაც დაკმაყოფილებ-და და არა თუ თავის თავს რიგიანად შეიმ-კობდა, ეკლესიასაც ჩამოიჩინდა.

ყოვლად სამღვდელო მიუახლოვდა სასა-ფლავის და ვიღამაც უხერხოდ ააფრილა სა-ფლავიდან, გადასაფარებელი ფარდაგი, თითქო სუფრიდან საფარი გადაეძრო. საფლავზე გა-მოსჩნდა ოთხ წყებათ ჩამწკრივებული, ათ-ათი, მრგვალი და საინის ტოლად ბრტყლად გათ-ლილი ქვები. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოე-ულ მოწამეზე, თითო ქვა აძევს. იქაურმა მღვდელმა გვიამბო ხალხური გადმოცემა, რომ წამებულნი დამდგარად არიან დასაფლავებულ-ნიო.

მათმა მეუფეებამ თაყვანისცა მოწაფეთა სა-ფლავს, თაყვანისცა და ეამბორა წმ. წმ. ორ-მეოცთა მოწამეთა ხატსაც, რომელც დასვე-ნებულია იქვე, გვერდით მდგარ მაგიდაზე. მო-წამენი ხის ფიცარზეა დახატული და, როგორც ეტყობა, ძალიან ძველიც უნდა იყოს. ფიცა-რი (ხატის) ვეცხლის საღვთო არის შემოვლენ-ბული, რომელიც, როგორც წარწერა გვაჩვენებს, შეუძკვია მეგრელიის მთავრინა ეპატე-რინას—ჩყნა—წელსა. მწყემსთ-მთავარი აქაც გულ-ნატყენი დარჩა, რადგანაც საქმის ცოდ-ნა და ბეჯითობა არც აქიდან გამოიხედებო-და... მეტი ცდა, მეტი ენერგია და ყველა-ფრის მოწესრიგება შეიძლება.

მკზაგრა.



**ყოველდღე სამღვდლო ლეონიდის სარევიზიო მოგზაურობიდან მიხარულია.**

ყოველდღე სამღვდლო ლეონიდემ ამ აგვისტოში სამეგრელოს სამრევლოები მოიარა. მე როგორც თავისუფალი მოხუცებული მღვდელი შევბოთი ყ.-დ. სამღვდლოს ერთ ჩემ მგზობელ მღვდლის ოჯახში. დრო სადილობისა იყო, მასპინძელმან მეც ალაგ გამომიშვა. ყ.-დ. სამღვდლოს გვერდით უჯდა ერთი ხანში შესული თავადი გ. დგებუაძე, შეძლებული ზრდილობიანი და სარწმუნოებით აღსავსე. გაიბართა საუბარი. როგორც თავადს და ყოველთვის ხალხის წინამძღოლს მიულოცეს „ტოლუმბა-შობა“. მან პირველად ყ.-დ სამღვდლო აღუგრძელა ჩვეულებრივ სიტყვებით და შემდეგ სხვანი მუნ მსხდომნი. ტოლუმბაშმა უსურვა ყ.-დ სამღვდლოს, რომ ყოველ წელს ღირსებოდეს მისი ებრქია მის მობრძანებას და დარიგებას და სხვანი. ამასე უპასუხა ყ.-დ სამღვდლომ, უკეთუ საზოგადოებისთვის სასიამოვნო იქნება მისი მოსვლა, იგი დაუზარებლად ივლის და თავს არ დაზოგავს ხალხისთვის. ამ სიტყვებში ბევრი რომ სასიამოვნო და საგაძრაველი იყო მსმენელთათვის, თუმცაღა ამ ბოლო დროს დროთა ვითარებამ თვალსაჩინოდ შეამცირა სარწმუნოება და მისი მკადაგებელის პატრიარქმა, მაგრამ ეს მთელი საზოგადოების ურწმუნოებას არ ნიშნავს. მეგრედიას კიდევ ბევრი ყავს გონიერი შვილი და გონებით სალი ქუთის პატრონი, რომელთ უღვივა გულში სარწმუნოება და მღვდელმთავრის პატრიარქმა ყოველთვის ყოფილა და დღესაც არის გონიერი და უგუნური, რომლებზედაც აქვს ნათქვამი აღრევე ძველ გამოჩენილ მწერალს შოთა რუსთაველს: „გონიერა მწერანიღი უყვარს უგუნურსა გულსა გმირდესო“. უგუნური ემზგავსება დილით აღმოცენებულ სოკოს, რომელიც მას დაცხუნებისათანავე გაქრება: არიან თითო ოროლა თუ მეტიც თითოეულ მრევლში ესრეთი უმეცარი პირები, ჰგონიათ, ვითომც მრევლს მოატყუებენ და მათ ქუთიან და გაბათლებულ პირებად აღიარებენ. არა და არა.

ესლა დარწმუნებულია ხაზოგადოება, ეს ვერბატონები სიტყვით სრული და საქმით მრულნი არიან. ძველთაგან ნათქვამია: ერთხელ დულოვალი მოატყუესო და მეორეთ მისი გამდულიც ვერაო. რაც ნათქვამია, ნაცლია კიდევ. ყ.-დ სამღვდლოს ღმობიერმა ქადღებამ ბევრს მორწმუნეთა გულს აღუძრა მისდამი განუზომლი სიყვარული, მისი მოგზაურობა და მოზილივა დარწმუნებული ვართ დარჩა ძეგლად სარწმუნოებისა მის სამწყსოში, უხარის გონიერთა შვილთა მეგრედიისათა, რომ მათ ზეგარდამო განჩინებით მოველინა მღვდელმთავარი ახალნორი, განათლებული და გონიერი და მასთან დინჯი. მას ვერ აღაფრენს „ვაშა ვაშას“ ძახილი, ვერც ლანძღვა-გინება უკუხეხს მის უზაკველს გულს. მიღის შეუპოვრად. კავაქს ეკლიან გზას, არ ასხამს ცუცხლოზედ ნავთს, სიბრძნით და დაკვირვებით მოქმედებს. სადაც ეკლესიებში დანახა უფარგისი და არა შესაფერი სამკაული ღვთის მსახურებისა, იმ ეკლესიებში შეაჩერა დროებით საღმრთო მსახურება, ვინც მღვდელი და მრევლი არ გასწორებენ მის მიერ შენიშნულს ნაკლულევენებას. თუმცაღა რაოდენიმე პირთ პასუხათ აქეთ, დარიბი ვართ, საშვალემა არა გვაქვს და რ უნდა ვქაინო, მაგრამ ეს პასუხი უმართლოა, მით რომ ამ დღებში აქ ჩემს ახლომახლო მრევლში მარიამობის დღესასწაულობა იციან ხალხი ერთი მეორის მიწვეულია, აქეთ დიდი შექცევა და წადიმი. უკანასკნელი კომლი არ დარება თუთხმეტი მანეთი მანც არ დახარჯოს ამ კამპანიისათვის. სად არის აქ სილარიბე! არა აქ არის დაუდევრობა, ურწმუნოება და უგულდობა, ნათქვამია: „თუ გული გულობდესო ქადა ორიგ ხელითი კუმევაო“. რა გასაკვირია მრევლისათვის თითო იკმლზე ორი აბაზი გაიმეტოს და უპირველესი მოთხოვნილება დააკმაყვილოს, ზოგი უფიცი ამბობს: ამდენი ხანი თუ ვარგოდა ეს სამკაულები, რომელიც ყ.-დ სამღვდლომ გააძვევა ხმარებიდან დღეს რა უნდა უქირდესო. ნუ თუ უფილიმა მღვდელმთავრებმაც არ შენიშნეს და გამოუცხადეს ეს ნაკლულევენებანი გასწორე-





ბინათ? აღუთქვებს, მაგრამ მერე მიიყრუევის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, მისი მეუფება არ არის უვიცი, მან ზედმიწევნით იცის პირველ საუკუნოებში ქრისტიანების მღვდამართობა, თუ ვითარ მღვდელმთავრები მათი კრებულით და ქრისტიანე ხალხით ამავგრებდენ ქრისტიანობას. უსურვებს მათს მეუფებას მისდამი რწმუნებული სამწყსო მარად მის ჯანშრთელობას, მართლ-მკვეთელობას სრცვისა მისებრ ქეშმა-რეტებისასა.

## გვირილამ-გვირამღე.

ყოვლად სამღვდლო გიორგი 2 სექტემბერს ბორჯომიდან ქუთაისში ჩამობრძანდა.

მორიგი სამღვდლო და საღიაკენო ეგზამენები გამომცდელ კომისიაში დანიშნულია 19 სექტემბრისთვის.

მღვდელი გაიხზ ძამისტარაშვილი.

### ლ მ ჩ ხ შ მ ი ღ ა მ.

ამ სამის წლის წინეთ ლაილაშის საბლა-ლოჩინო ოღქის სამღვდლოებამ ერთ თავის კრებაზე ვალად დაიდგინა უქვევლად დაესწრონ მიცვალბულის თანამის გასვენებას და დასაფლავებას, ანუგეზონ მწუხარე ოჯახი და ემსახურონ მიცვალბულის სამღვდლო მოქმედებით. შემდგე თითოეულმა კრებულმა ორმოცი უნდა უწიროს მიცვალბულის თანამის უსასყიდლოდ. იმედი გვაქვს ჩვენ, სამღვდელოება არ დაივიწყებს ამ დადგენილებას და პირნათლად აღასრულებს მას. ურიგო არ იქნება, რომ ყოველი თანამის გადაცვალბეა „შინაური საქმეების“ საშვალბებით ელწყებოდეს ხოლმე ეპარქიის სამღვდლოებას და ამის შემდგე ყველა კრებული თითო წირვის მიინც შეუსრულებდეს. ვისაც სული უყვარს და არ არის გატაცებული მარტო ხორციელი ცხოვრებით, დარწმუნებული ვარ, ყველა თანაგრძნობით მიეგებება ამ ახალ შემოღებულებას. სამარხი კასა საჭიროა დღეს ნივთიერთ, მით უმეტეს ერთმანეთისთვის ლოცვა საჭიროა სულიერთათ.

დეკ. ნ. ფრუიძე.



როგორც გავიგეთ ჩვენი სამარხი კასის დამტკიცებამდე „ბარე ორი მამალი დიცივლებს, როგორც იტყვიან. წესდება კონტროას სეკრეტრისთვის გადაუცია განსახილველად, რომელიც სეკრეტრულათვე დაავიანებს ამ განხილვას. შემდგე ეს წესდება სინოდში წავა დასამტკიცებლად, რადგან საქმე სამღვდლოების ჯამიგირიდან ფულის გამოორიცივებს ენება. საკვირველია, რომ ეხლა დასჭირდა სინოდის დაკანონება ხაზინაში ფულის დაქერას, აქნამდის ასე არ იყო, გვგონია.

როგორც ხმა დადის იმერეთის საეკლესიო სკოლების მეთვალყურეობა არქიმანდრიტ ანტონსაც (ალექსი გიორგაძე) უთხოვია, რამდენათ მართალია ეს ხმა არ ვიცით.

წელს სასულიერო სასწავლებელს იმდენი მოხონეული მოაწყდა, რამდენიც არ უნახავს აგერ ათი-თორმეტი წელიწადია. ბევრი უარი-თაც გაინტუმრეს. უმთავრესი მიზეზი ყველგან სასწავლებლებში სასწავლო ქირის მომატებაა.

რადგან ქუთაისის ქართულ გიმნაზიას ბანკილგან შემეწობაზე უარი უთხრეს, ამიტომ გიმნაზიამ სასწავლო გადასახადი გადაიღა: ხუთი თუმნის მაგიერ მოსამზადებელ კლასებში ექვსი თუმანი და მაღალ კლასებში შვიდი თუმანი გახადა. მიუხედავად ამისა სასწავლებელს მაინც ბევრი მოხონეული მოაწყდა, მაგრამ სამწყუხაროთ კლასებში თავისუფალი ადგილები აღარ დარჩა. სასიამოვნოა მოვლენათ მიგვიჩინა,



რომ საზოგადოება ასე აფასებს ქართულ გიმნაზიას.

**სამრევლო სკოლბაის მოღვაწეთა კრება,** რომელიც 27 აგვისტოს დაიწყო, დასრულდა. კრებამ სხვათა შორის, დაადგინა: 1) ერთკლასიანი სამრევლო სკოლებში 4 წლის კურსი შემოიღოს ნაცვლად ახლანდელ 3 წლის კურსისა, 2) იმერეთის ერთ-ერთი სავაჟო მეორე კლასიანი სკოლა საქალაქო (?) სკოლად გადააკეთოს, 3) ზუგდიდის მეორე კლასიანი საქალაქო სკოლა თეატრის მონასტერში გადაიტანოს, თუ მცხოვრებნი ზუგდიდში თავის ხარჯით სკოლის ახალ შენობას არ ააგებენ, 4) სენაკის მაზრის სოფელ ბანძის მეორე კლასიანი სკოლისთან დაარსებულ იქმნას დამატებითი კურსები გურია-სამეგრელოსი, სოხუმისა და იმერეთის ეპარქიების ერთკლასიან სასწავლებლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად, 5) პირველ ორ წელიწადს ამ სასწავლებლებში სამღვთა სჯულის სწავლება დღე-ღეღნაზე სწარმოებდეს, შემდეგ კი რუსულსა და დღე-ღეღნაზე, 6) შემოღებულ იქმნას სამხედრო გიმნასტიკა, 7) მასწავლებლებად დანიშნულ იქმნენ გამოცდილი პირნი, 8) სწავლა იწყებოდეს (1?) სექტემბერს და თავდებოდეს 15 მაისს, 9) დავალოს სკოლების გამგეთ და მასწავლებელთ მოსწავლეთ კვირა-უქმე დღეებში სინოლისაგან ნება დართული რელიგიურ ხასიათის წიგნები უკითხოზ.

(„ბათუმის გაზ.“).

### წალმა-უკულმა.)

შენ მშვიდობა ჩემო ღიზა და ვაი იმათ თავს და უიცი... შენ რას გიკვდება გული გენაცვალე? შენ ხომ ორმოც მონაზონს ჯობიხარ!... მაგრამ ერთი არ არის კარგი, რომ ნამეტანი მიუკარებელი ხარ. იმისთანებისგან

ღმერთმა დაგიფაროს, გაშოროს შენმა ანგელოზმა, მაგრამ ამისთანა მშვენიერი ქალი, ამისთანა დიდო ქალაქის საზოგადოებაში ურყეობარ და ყოველთვის მწყრალივით რომ დაიარები, არავისთან დაახლოებულნი არა ხარ, ეს ძალიან ცუდია. სხვას ვის მეფწონება ამგვარი ხასიათი, როდესაც თვითონ შენს ქმარს არ მოსწონს! უნდა გვერიო საზოგადოებაში, გვერთო, სხვაც ვაართო, ოჯახი უნდა გამიზიარულო, ვაპატიოსნო, სტუმრები მზიარულათ უნდა მიიღო და შენც მზიარულათ უნდა ჩახვიდე სხვისას... ყველა ასე ცხოვრობს და შენც აგრე უნდა მოიქციე: წუთისოფელი კმაყოფილებით უნდა გაატარო; საღარდელი და მოსაწყენი შენ კიდევ რა გაქვს ღვითი?...

— რა გქნა საღუზანა—რა? ყოველთვის ამას მეჩინებდა ჩემი ქმარი და მე არ უჯერი. ოჯახისთვის არ არის ვარგი, რომ დისახლისი ქალი წარა-მარა ტრილოზდეს კავალერებში! მესულ სხვანაირი ცხოვრება მიყვარს, მარა რო საშველს არ მძღლევს ჩემი ქმარი—რა უყვი?

— ქმარს უნდა დაუჯერო გენაცვალე ქმარი უფროსია, იმან უფრო იცის რა ჯობია და რა არა... მარა ეს რა ჩემი საქმეა, ცოლ-ქმრის საქმეში მე არ ვერევი!.. იცი ლიზიკო, მშვენიერი საღამოა, გვეიაროთ, გვეისიეროთ.

— კარგი საღუზანა— გვეიაროთ, მაგრამ იცი მყუდრო ადგილებში მიჩჩენია გარება და თუ იცი საღმე, იქით წამიყვანე.

— მშვენიერი ბილია ქალაქის ბოლოს, იქ წვედიღო.

— ღიზა მოირთო. მას ნავაითმყოფარი არაფერი ეტყობოდა, საღუზანას თანხლებით ის გამოვიდა ქუზაზე. მეორე ქუზის მოსახვევთან მათ ვანოც შეხვდა, რომელიც ზრდილობიანათ მიესალმა ღიზას.

— შენ საით ბატონო ვანო!— შეეკითხა საღუზანა.

— იმხანავისას.— მოკლედ უპასუხა მან.

— არ შეიძლება კავალრობა გავვიწიოთ? ბალში მივიღივართ სასიეროთ.

— დიდი სიამოვნებით თუ ღიზას ნება იქნება.

(\* იხ. „შინ. საქ.“ № 26.





— მოხარული ვიქნები, — ღიმილით უთხრა ლიზამ.

— მაშ ნება მომეცით ფაიტონი დავიქირაო; ბალი ერთობ შორს არის.

თქვენი ნებაა, — უთხრა მოურიდებლად სალუხანამ, — მაგრამ ეს კი არა, გაძვალ-ტყავებული ცხენები რომ უბია, ე მანდ, იმ ფაიტონს დოუძახებ.

— კარგი სალუხან; ის იყოს, რაკი თქვენი სურვილია, — ხუმრობით უთხრა ვანომ.

იცი რას გეტყვი, — უთხრა სალუხანამ ვანოს, როცა ის ფაიტონის დასახებლად მიიწია, — ხომ გახსოვს რაც დარიგება მოგეცი? თვალებს დაგთბრი შე უბედურო თუ... ის ქრისტიანი ქალია, სულ ქრისტიანობაზე და მაღალ ზნეობაზე ელაპარაკე და ისე მოხიბლე, რომ შენს მზეს ფიც ვეღვს, მიხვდი?

— მივხვდი, მივხვდი.

— მიხვდი მაგრამ დანაპირები? ხომ გახსოვს?

— მახსოვს, მა რა იქნება, მაგრამ შენც ხელი უნდა გამეიღო.

— წადი; სალუხანამ იცის თავისი საქმე.

კოტა ხნის შემდეგ, ჩვენი მოსეირნები ფაიტონით მირიხინობდნენ და შორებულნი ბაღისკენ.

ბაღში ხალხი კოტა იყო. უფრო განაპირას მცხოვრები, ღარიბი ხალხი გამოსულიყო სასეირნოდ. სალუხანა და შორაღა ლიზა და ვანოს; მან თავისი ტოლი მონახა და იმასთან გააბა მუსაიფი. ვანომ სწორეთ იმ თემაზე დაიწყო მსჯელობა, რომელიც ლიზას მოეწონებოდა და ლიზამაც დაიწყო მსჯელობა და კამათი, რაც ერთობ დიდხანს გაგრძელდა. მეტად ჩინებულად ისიამოვნა იმ საღამოს ლიზამ და სრულიად შეუმჩნეველად დაებადა გულში თანაგრძნობა ვანოსადმი; მას ვანო ძმასვით შეუყვარდა... დამდებოდა, როცა ისინი დაშორდნენ ბაღს.

კოტა ხანი კიდევ და აი მთავარემაც ამოყო თავი და ღია გულით გადმოხედა დედამიწას. ვანომ შეხვდა მოკამკამებულ მთვარეს და გრძობით წარმოხატვა: „ოხ, მთვარე,

მთვარე! დამწვართ იმედო...“ და შესწყვიტა; კოტა არ იყოს, შერცხვა და სახე ძირს დაუშვა.

— რათ შეწყვიტე ვანო? მოგეთავებია ბარემ, — ღიმილით უთხრა ლიზამ.

— „მსურს ჩემი ტანჯვა შენ გაგიბედო“ — თქო, მოათავე, რაღას უტყვი? — დაუმატა სალუხანამ.


— ნამეტანი იქნებოდა სალუხან; სო იცი, მთვარის წინაშე გულ-ახდილად ღაპარაკს რადილი გაბედულობა უნდა?

— კარგი, ეგრე იყოს; მაშინ გაბედე, როცა გაბედულობა მოიპოვო და ახლა ფაიტონს დაუძახებ; ნეტზე მაზოლი. მქირს და კავალერს არ შეშვენის დამის კოჭლობას გულცივად უყურებდეს, — თამამად უთხრა სალუხანამ.

ფაიტონი მზად იყო, რომელმაც გაიტაცა ჩვენი მოსეირნები ლიზას სახლისკენ. რამდენიმე წამი და ფაიტონიც გაჩერდა. ვანო გამომეშვიდებოდა ლიზას და კიდევ აკოცა გამოსამშვიდებლად გაშვებულ ხელზე. ლიზამ ხელზე ხელის მოჭერით აგრძნობინა ვანოს; რომ ის სრულიად კმაყოფილი იყო მისგან. „იმედია ვენც გვენახათ“, — უთხრა დაბოლოს ლიზამ, როცა ვანომ უკანასკნელად დაუტრა თავი. სალუხანამ დაინახა, რომ ნიადაგი მშვენებრად იყო დამუშავებული და, რა თქმა უნდა, არც იმის ეჭვი ჰქონდა, რომ იმ საღამოს ჩაყრილი თესლი მალე აღმოცენდებოდა.

კირილე წუთისთფლელი

შემდეგი იქნება.



რედაქტორი, მღვდელი სიმონ მამულაძე.

გამომცემელი, იოსებ ლეჟავა.

# სამხატვრო სახელოსნო

ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.

ღებულობს ეოგელგვარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშევრს. ასრულებს დროზე, სუფთათ, საიმედოთ და სინდისიერათ.

ფასუბი ნახატების დრსკებაზე და ზომანზე დამოკიდებული და ეოგელ შემოსგევაში საშუალოა.

სამხატვროს არაეისთან დამოკიდებულება და კავშირი არ აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადთ მასთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრებებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშევრს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვას ვასრულებთ იმავე მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ეოვლად სამღვდლო ლაონიდას ნდობით და გვაქვს მათი მუუფებისაგან შესაფერი მოწმობა.

აღრმსი: „შინაური საქმეების“ რედაქცია ან ივანოვის ქუჩა № 14.

## „შინაური საქმეები“-ს რედაქციაში იყიდება:

კლინოვის უწევებები ახალი ფორმისა და ეველს უწევებები (ВЪДОМОСТИ) წლიური საბლადოჩინო ანგალიშებისათვის. ბლანკები „მობის“ გამოცემა და ფულიც მას ეგუთნის. ფასი ბლანკებისა—რწვეილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბრებს—4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Правленіе религіозно-просвѣтительнаго „братства“.

Ольденбургская д. № 5.